

მარიამ ხაჩიძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

როგორც ცნობილია, საბანკო სისტემის მდგრადობასა და სიძლიერეზე დიდწილად დამოკიდებული მთლიანი ეკონომიკური სისტემის ქმედითუარიანობა.

წინამდებარე სტატიაში შევეცადე განმეხილა სისტემური მიდგომების პირობებში სტრატეგიები, რომლითაც ოპერირებენ თანამედროვე ბანკები. ძირითადად ეს არის ორიენტაცია კლიენტზე და პროდუქტების გასაღება ანუ მომსახურება/რეალიზაცია.

როგორც ცნობილია, განასხვავებენ ორი ტიპის მიდგომას: ერთი ეს არის ადაპტაციული პოლიტიკის გატარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის ინფლაციურ პროცესებთან თანწყობა - შეთვისებას.

მეორე მიდგომა გულისხმობს ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებას: ინფლაციის ნიშნულის მინიმუმამდე დაყვანას, რაც ამასთანავე მაღალი რისკის შემცველია. ბრძოლის ადაპტაციური პოლიტიკის გამოყენება მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა.

საქართველოს საბანკო სექტორი პერმანენტული რეფორმების პროცესშია დღესაც. ჩემს მიზანს სწორედ ამ მიდგომებისა და არსებული სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს, რითიც დღეს საოპერაციო საქმიანობას ახორციელებს ქართული საბანკო სექტორი.

Summary

General standards and approaches of the modern banking system

As it is known, ability of the economic system largely depends on the stability and the strength of the banking system.

In this article, I tried to discuss the strategies in the conditions of the systematic approach. Modern banks operate by these strategies. Essentially, this is orientation of clients and selling products or service / realization.

As it is known, there are two types approach: one of these is adaptation policy. There is a correlation-assimilation between economic activity and inflation processes during this policy.

The second approach includes the anti-inflation policy: to drop the inflation to a minimum, as well as it includes the high risk. Usage of the adaptation policy is only a temporary measure.

საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის მეტად რთული და ამასთან, აუცილებელი მექანიზმია. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუარიანობა. იგი ხასიათდება განვითარების თავისებურებებით - ცუდი მენეჯმენტის დროს უაღრესად ფაქიზია, ხოლო სწორი და წარმატებული მართვის პირობებში - მეტად მძლავრი. გარკვეული აზრით, იგი ცალკე ავტონომიური ერთეულია, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს.

თანამედროვე გლობალური კრიზისების ფონზე საბანკო სექტორი ხასიათდება დიდი კონკურენტუნარიანობით.

საზოგადოების მოთხოვნები რომ დაკმაყოფილდეს, მისი საქმიანობა უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მაღალეფექტიანი. ბანკების ეფექტიანობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა განვითარებულია, ბანკების ეფექტიანობა მაღალია და იგი განისაზღვრება ბანკის აქციების ფასის ან ბიზნესის ფასის ზრდით, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში - დაბალია და მისი ეფექტიანობის შეფასება ხდება მომგებიანობისა და რენტაბელურობის მიხედვით.

ბანკი, როგორც სხვა ნებისმიერი რთული სისტემა, თავისი მიზნების მიხედვით ქმნის ქცევის გარკვეულ წესებს, რომელიც მუდმივად იცვლება საქმიანობის შედეგებისა და ცვალებადი პირობების შესაბამისად.

ბანკების მართვის დროს უნდა იყოს გამოყენებული სისტემური მიდგომა. ბანკის საქმიანობის კომპლექსური ანალიზის გარეშე მისი ქცევის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება საკმაოდ რთულია.

თანამედროვე ბანკებს გააჩნია შემდეგი სტრატეგიები:

1. ორიენტაცია კლიენტებზე. კლიენტების მოთხოვნების შესწავლა და გათვალისწინება ბანკების საქმიანობის აუცილებელი პირობაა, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ბიზნესის შემოსავლების ზრდას. ამდენად, კლიენტების მომსახურების კორექტირება ბანკების საქმიანობაში მუდმივი პროცესია.

ყოველი ბანკი ცდილობს შექმნას კლიენტების მომსახურების ინდივიდუალური სისტემა, რითაც მომხმარებელი მას სხვა ბანკებისაგან განასხვავებს.

2. პროდუქტების გასაღება და მომსახურება რეალიზაცია. ამისთვის ბანკები იყენებენ უახლეს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებებს. უახლოეს

მომავალში ელექტრონული ბიზნესი განსაზღვრავს კომერციული საქმიანობის ძირითად წესებს. დღეს უკვე ოპერაციების უმეტესობა ბანკებში ხორციელდება ელექტრონული საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ბიზნესს ზოგჯერ ნაკლოვანებები გააჩნია მისი არასწორად დაგეგმვის გამო. თუ ბანკის სტრატეგიისა და ორგანიზების შემუშავებაში არის რაიმე ნაკლოვანებები, მაშინ ამ სფეროში პროექტები წარუმატებელი იქნება, რაც, ცხადია, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე ეკონომიკურ სიტუაციას გააჩნია თავისი საფრთხეც. ამის თავიდან ასაცილებლად საფინანსო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ შესაბამის ზომებს. სწორედ ასეთი ბიზნესი შესაძლებელს ხდის ცალკეული პრობლემების გადაწყვეტას და ასევე საოპერაციო დანახარჯების შემცირებას.

ეროვნული საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ამიტომ პრობლემების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც ეწინააღმდეგება მის სტაბილურ ფუნქციონირებასა და განვითარებას, აქტუალური ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტილებებს, როგორც სახელმწიფო, ისე ყველა წამყვანი სუბიექტის დონეზე.

თანამედროვე ბანკები მძაფრი კონკურენციის პირობებში მუშაობენ. ამიტომ ისინი ცდილობენ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნან მომხმარებლებისათვის. სწორედ ამ საკითხებს ეხება უმთავრესად საბანკო მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა.

მარკეტინგის სტრატეგია წარმოადგენს ბანკის მიზნების შესრულების საუკეთესო გზების ამორჩევას მარკეტინგის საშუალებით. ბანკები განსაზღვრავენ თავიანთი განვითარების მიმართულებებს და ამ დროს ამოდიან იმ კონკრეტული საბოლოო მიზნებიდან, რომლებიც თავიანთ წინაშე დაისახეს.

საქართველოში ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საფინანსო სისტემის სტაბილურობას და ამით ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ამისათვის კი იგი განსაზღვრავს არსებულ და მოსალოდნელ რისკებს და უზრუნველყოფს მათ შემცირებას. მიმდინარე პერიოდში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები ძირითადად დაკავშირებულია ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილებასთან, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხასიათის რისკებთან, ინფლაციის იმპორტთან სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვ. ინფლაციური რისკები ზემოქმედებას ახდენს სესხების ბაზრის ფორმირებაზე და ბანკების სტრატეგიაზე, რადგან, იზრდება გარემოს არამდგრადობა. რამდენადაც ინფლაცია ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხელისუფლების მოვალეობაა წინ აღუდგეს ინფლაციურ პროცესებს, შეიმუშაოს ანტიინფლაციური პროგრამა და მისი პრაქტიკული რეალიზაციით განამტკიცოს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სტაბი-

ლურობა. განასხვავებენ ორგვარ მიდგომას:

1. ადაპტაციური პოლიტიკის გატარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის ინფლაციურ პროცესებთან შეთანხმება-შეთავსებას.

2. ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებით - ინფლაციის მინიმუმამდე დაყვანას. ამ ბრძოლის ადაპტაციური პოლიტიკა მაღალ რისკს შეიცავს და მისი გამოყენება მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა. ამდენად, იგი გრძელვადიან პერიოდში სასურველ შედეგს არ იძლევა, რის გამოც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციით, საქართველოსთვის უფრო პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარება.

აქედან გამომდინარე, მონეტარული და კეინზიანური მიდგომები, რომლებიც ეფუძნებოდა ფულადი აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მანევრირების მეთოდს, თანდათან ადგილს უთმობს ფასების, ანუ ინფლაციის რეგულირებას. მას ინფლაციურ ტარგეტირებას უწოდებენ, რაც ნიშნავს საპროგნოზო პერიოდში ინფლაციის გარკვეულ მიზნობრივ მნიშვნელობაზე ორიენტირებას.

გლობალიზაციის პირობებში საჭიროა ფინანსური ბაზრის მონაწილეების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ეროვნულობაზე, რომელიც სახელმწიფოს გეგმებთან და ინტერესებთან, კაპიტალის გამოყვანაზე შეზღუდვების დანერგვასთან და რისკების მართვის კომპლექსური სისტემების ფორმირებასთან შესაბამისობაში, ბიზნესის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული.

საქართველოს ეროვნული ბანკის ამჟამინდელი სტრატეგია განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით “2010-2012 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ”, სადაც გამოკვეთილია მთავარი მიზანი - ფასების საერთო დონის სტაბილურობისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებისთვის, საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებლის 6 %²⁵-ის ფარგლებში შენარჩუნება (თუმცა დასაშვებაა მიჩნეული ცალკეულ არაპროგნოზირებად შემთხვევებში ამ მაჩვენებლიდან გადახრა). ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტად კვლავაც დასახულია ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების შემცირება და “ლარიზაცია” მიიჩნევა მთავარ პრიორიტეტად. დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრული, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებითი და უმნიშვნელო გადახრისას. ყოველივე ეს ეყრდნობა ეროვნული ბანკის შემდეგ საქმიანობას:

1. ინფლაციის მოსალოდნელი დონის პროგნოზირება;

2. ინფლაციის სასურველი (მიზნობრივი) დონის შედარება მოსალოდნელ (პროგნოზულ) სიდიდესთან;

3. მიზანსა და პროგნოზს შორის სხვაობის განეიტრალების მიზნით მონეტარული პოლიტიკის კო-

რექტირება.

საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო მექანიზმების შერჩევაში. იგი უპირატესად გამოიყენებს მონეტარული პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს: რეფინანსირების სესხები; სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები (ლიკვიდობის ამოღება); მთავრობის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები; სავალუტო სვოპ ოპერაციები; სავალუტო ინტერვენციები; მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები (ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები); მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვ.

საქართველოში კომერციული ბანკების სტრატეგიის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული პრიორიტეტები. შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე ეროვნული ბანკი ყველა კომერციულ ბანკს ავალდებულებს მათ მიერ მოზიდული დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების გარკვეული ნაწილის ეროვნულ ბანკში შენახვას.

კომერციული ბანკი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის აქტიურ ელემენტს და როგორც ორგანიზაცია ფლობს სისტემურ თვისებებს.

კომერციულ ბანკს გააჩნია რამდენიმე ძირითადი მიზანი. ბანკის მიზნები შეიძლება განისაზღვროს — როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ. ასეთი მიდგომა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მყარ კომერციულ ბანკებს. ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიდიან ერთი მაგისტრალური გზით და მოკლევადიან პირობებში ახორციელებენ გარკვეულ კორექტირებას.

კომერციული ბანკების მართვის სამამულო პრაქტიკაში წარუმატებლობები ხშირად განპირობებულია არა ცუდად შემუშავებული სტრატეგიით, არამედ, მისი განხორციელებისა და იმპლემენტაციის არაეფექტიანი სისტემით. ხშირად სტრატეგიული მართვა იწყება და მთავრდება სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შედგენა-გაფორმებით და არ ხდება კონკურენტული პოზიცირება უპირატესობების დადგენის გზით. როგორც წარმატებული ბიზნეს-ორგანიზაციების პრაქტიკა აჩვენებს, არამდგრად და დინამიკურ გარემოში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია განვითარების სხვადასხვა სცენარების შემუშავება და მათგან ყველაზე ადეკვატურის მისადაგება კონკრეტული სიტუაციისადმი. გლობალიზაციის პირობებში, საბანკო ინდუსტრია მოითხოვს საბანკო ბიზნეს-სტრუქტურებისგან განვითარებისადმი ერთერთი მიდგომის განხორციელებას - საბანკო დაწესებულებების უნივერსალიზაციას, ან გაღრმავებულ სპეციალიზაციას. ცხადია, უნივერსალურობაზე პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მსხვილ საბანკო სტრუქტურებს, ხოლო, შედარებით მცირე საფინანსო ინსტიტუტები კმაყოფილებიან სათანადო საბაზრო ნიშის მოძიებით.

გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, სულ უფრო

მეტი საბანკო დაწესებულება მიმართავს ფოკუსირების სტრატეგიას, რომელიც მაკროეკონომიკური სიტუაციის გაუარესების პირობებში აიძულებს ბანკებს ეფექტიანობისა და დაბალანსების რეჟიმის განვითარებას. კლიენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი საბანკო პროდუქტი ჩნდება სესხების ეროვნულ ბაზარზე, რაც მიანიშნებს დაბალი დანახარჯებით ლიდერობისკენ სწრაფვასთან ერთად დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენებას. ზემოაღნიშნული სტრატეგიები საჭიროებს როგორც კორპორატიული, ასევე საცალო კლიენტების მოთხოვნებისადმი არასტანდარტულ მიდგომებს და განსხვავებული ინტერესების-ჯგუფებისადმი ფოკუსირებას. სტრატეგიული ალტერნატივების ანალიზი ხშირად საბანკო სტრუქტურებს უბიძგებს დივერსიფიკაციის პოლიტიკისკენ, თუმცა, ამან არ უნდა ავნოს ტრადიციულ ბაზრებზე ბანკის ქმედუნარიანობას და სტაბილური კლიენტურის მოთხოვნილებებზე ოპერატიულ რეაგირებას.

ამრიგად, ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ფინანსური ბაზრის მონაწილეების ეროვნულად ორიენტირებულობის სტრატეგია არის საჭირო, რომელიც სახელმწიფოს გეგმებთან და ინტერესებთან, კაპიტალის გამოყვანაზე შეზღუდვების დანერგვასთან და რისკების მართვის კომპლექსური სისტემების ფორმირებასთან შესაბამისობაში, ბიზნესის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული.

საქართველოს საბანკო სექტორი პერმანენტული რეფორმირების პროცესშია. კრიზისიდან გამოსვლა საქართველოსთვის უფრო ძნელი იქნება ფინანსური ბაზრების განუვითარებლობისა და ეკონომიკის დაუბალანსებლობის გამო. თუმცა, ეკონომიკაში მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად,

ეკონომიკური განვითარების დონით, საქართველო მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც მეზობელ, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაძე. მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის მოდელის შემუშავება, (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2013.
2. კოვზანაძე, ი. თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2014.
3. ჯანგულაშვილი, ლ. საქართველოს საბანკო სექტორის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, (ავტორეფერატი), თბ. 2016
4. ხომერიკი, თ. საბანკო სექტორის განვითარების სტრატეგია არამდგრად გარემოში - ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010, №17.